ხელშეკრულება №130
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 20 აგვისტო 2018 წელი

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მერის ზვიადი მხეიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს. „უნიკომი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ამბროლაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად (CPV50313200) – ასლგადამღები მანქანების ტექნიკური მომსახურება, კერძოდ 5(ხუთი) ცალი მულტიფუნქციური, შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის PANTUM M6550NW ორიგინალი კარტრიჯის დატუმბვა.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 175,00(ას სამოცდათხუთმეტი) ლარი, ერთეულის ფასი 35,00(ოცდათხუთმეტი) ლარი, კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება) ხორციელდება შესაბამისი აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს მინდობილი პირი აკაკი გელოვანი (პ/ნ 04001003264).

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისსწორებით.

5.2 ანგარისსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესაბამისი აქტის წარმოდგენიდა 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6 .მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულიბის 0,2%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 სექტემბრამდე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფძველზე.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.
12.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	შპს. „უნიკომი“
ქ. ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11	ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 67 ოთახი N120
ს/კ 222938490	ს/კ 412673879
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22	"თი–ბი–სი" ბანკი TBCBGE22
GE24NB0330100200165022	GE 77TB7335936010100002
---	---
მერი ზვიადი მხეიძე	დირექტორი ზურაბ ამბროლაძე